სადამრიგებლო პროგრამები

ქართულ-ინგლისურ სკოლა “ბრიტანიკაში“ ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი.

<u>დამრიგებელს ევალება:</u>

1. სასწავლო წლის დაწყებიდან ერთი კვირის ვადაში მოიწვიოს კლასის მშობელთა სავალდებულო კრება, სადაც დამრიგებელი მშობლებს გააცნობს სკოლის მიზნებს და ხედვებს, მშობლის უფლება-მოვალეობებს, ინფორმაციას სასწავლო საგნებსა და მასწავლებლებზე.
2. ყოველი სასწავლო კვირის ბოლოს შეისწავლოს კლასის ზოგადი ანალიზის საფუძველზე მოახდინოს რეაგირება; დროულად აცნობოს მშობელს მისი შვილის სწავლა-აღზრდასთან დაკავშირებული პრობლემები. მოსწავლეების აკადემიური მოსწრება, დისციპლინის საკითხები.
3. მოსწავლის დახმარება აკადემიური პრობლემის გადაჭრაში. კერძოდ, შეასრულოს შუამავლის როლი მოსწავლეს, მშობლებსა და მასწავლებელს შორის პრობლემის წარმოქმნის შემთხვევაში.
4. მკაცრად აღრიცხოს მოსწავლეთა მიერ გაცდენილი საათები, შეაგროვოს ცნობები ან მშობლის განცხადებები საპატიო მიზეზით გაცდენილ საათებზე.
5. მოსწავლის მიერ არასაპატიო ან დაუდგენელი მიზეზით გაკვეთილის გაცდენის შემთხვევაში დაუკავშირდეს მშობელს.
6. საჭიროების შემთხვევაში (მოსწავლის მიერ დისციპლინის სერიოზული დარღვევის, დირექტორის მოთხოვნით ან მოსწავლის ჯანმრთელობის გაუარესების დროს) მშობელს გაუგზავნოს წერილობითი მოწვევა ან დაუკავშირდეს ტელეფონით.
7. ყოველი სასწავლო დღის დასაწყისში მოინახულოს საკუთარი კლასი, შეამოწმოს მოსწავლეთა დასწრება, გააკონტროლოს მოსწავლეების სასკოლო ფორმის ტარება.
8. მოახდინოს მოსწავლის, მშობლისა და ნებისმიერი საგნის მასწავლებლის შეხვედრის ორგანიზება. რაიმე პრობლემის შემთხვევაში ჩაატაროს საკლასო შეხვედრები არსებული პრობლემის დასაძლევად.
9. საჭიროების შემთხვევში შეხვდეს მოსწავლის მშობელს და შეძლოს გაარკვიოს იგი

   მოსწავლის სუსტ მხარეებში ყველა საგანთან მიმართებაში.
10. შეისწავლოს მოსწავლეთა სოციალურ-დემოგრაფიული მონაცემები.
11. ყოველი კვირის ბოლოს შეამოწმოს ელექტრონული ჟურნალის წარმოება და მოახდინოს საჭირო რეაგირება.

12. აწარმოოს სადამრიგებლო პორტფოლიო.

13. სუფთად და გარკვევით აწარმოოს კლასის სასკოლო დოკუმენტაცი (მოსწავლის პირადი საქმე)

14. სასწავლო წლის ბოლოს მოსწავლის პირად საქმეში შეიტანოს ყველა საჭირო მონაცემი.

15. წერილობითი ფორმით აცნობოს სკოლის დირექტორს საკლასო ღონისძიებების ჩატარების თაობაზე. (ექსკურსია ქალაქში ან ქალაქგარეთ, საგნობრივი პრეზენტაციები და სხვა)

16. მოსწავლეებთან ერთად ყურადღება გამოიჩინოს საკლასო ინვენტარის მიმართ და იზრუნოს საკლასო ოთახში წესრიგისა და სისუფთავის შენარჩუნებაზე. შესვენებებზე მოინახულოს სადამრიგებლო კლასის მოსწავლეები და იზრუნოს კლასის დისციპლინაზე.

17. სასწავლო წლის დასაწყისში დირექცია მიღება-ჩაბარების აქტით გადასცემს დამრიგებელს საკლასო ოთახს და საჭირო ინვენტარს (მერხები, მაგიდა, დაფა. ა.შ.) რომლის შენახვა-გაფრთხილებაზეც პასუხისმგებელია დამრიგებელი.

18. საგაკვეთილო პერიოდში დამრიგებლის სკოლიდან გასვლა თანხმდება დირექტორთან ან დირექტორის მოადგილესთან.

19. ჩაატაროს სადამრიგებლო საათი დაწყებით საფეხურზე არანაკლებ ორ კვირაში ერთხელ, საბაზო-საშუალო საფეხურებზე-არანაკლებ თვეში ერთხელ. სადამრიგებლო საათის ფარგლებში დამრიგებელმა მოსწავლის ასაკის შესაბამისად უნდა იმუშაოს სხვადასხვა უნარის განვითარებაზე:

დაწყებით კლასებში

- ✓ კითხვის ტექნიკის გაძლიერება;
- ✓ წაკითხულის განხილვა-გააზრება;
- ✓ ანალიზის უნარის განვითარება;
- ✓ მსჯელობის უნარის განვითარება;
- ✓ შემოქმედებითი უნარების განვითარება.

სადამრიგებლო საათის პროგრამა შემდეგ პრინციპებს უნდა ეყრდნობოდეს:

1. აღზრდის მთლიანობა - სააღმზრდელო მუშაობის მთავარი მიზანი ფიზიკურად და ფსიქიკურად ჯანსაღი მოქალაქის აღზრდაა;

2. ყველა ბავშვი უნიკალურია. მოსწავლეები ერთმანეთისგან ნიჭითა და შესაძლებლობებით განსხვავდებიან. დამრიგებლის ფუნქცია მათში ნიჭისა და ძლიერი მხარეების აღმოჩენა, მოსწავლის შინაგანი ძალების აქტივაცია, ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის პირობების შექმნა.

3. სასკოლო ცხოვრებაში მოსწავლეთა ჩართულობა და მონაწილეობა- აუცილებელია პასუხისმგებლობისა და ვალდებულების გრძნობის გასავითარებლად. საკლასო ცხოვრებაში მნიშვნელოვანი აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები) დაგეგმვისას დამრიგებელმა უნდა უზრუნველყოს მოსწავლეთა ჩართულობა მათი ინტერესების გათვალისწინებით.
4. დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, ურთიერთპატივისცემასა და ურთიერთნდობას.
5. დამრიგებელმა მოსწავლეებს ხელი უნდა შეეუწყოს საკუთარი და სხვისი უფლებებისა და მოვალეობების გაცნობიერებასა და დაცვაში.
აქტივობები:
1. სასწავლო-შემოქმედებითი ექსკურსიები;
2. მხატვრულ-ლიტერატურული ღონისძიებები;
3. შემეცნებით-ინტელექტუალური ღონისძიებები;
4. შიდა სასკოლო კონკურსების, შეხვედრებისა და გამოფენების მოწყობა;
5. სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობა;
6. სასკოლო კლუბებში მოსწავლეთა აქტიური ჩართვა, სკოლებს შორის გაცვლით ღონისძიებებში მონაწილეობა;
სადამრიგებლო კლასის მოწყობის პროცედურა
1. დამრიგებელი ვალდებულია, სასწავლო წლის დაწყებისას მინიმუმ ერთი კვირითადრე მოაწყოს თავისი სადამრიგებლო კლასი;
2. კლასის მოწყობა გულისხმობს არა მარტო საკლასო ოთახის გაფორმებას, არამედ სკოლის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი შესაბამისი დოკუმენტაციის გამოკვრას თვალსაჩინო ადგილას;
3. დამრიგებელი ვალდებულია სასწავლო წლის დაწყებისას მოსწავლეებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია:
- სკოლის შინაგანაწესი.
- მოსწავლის ქცევის კოდექსი.
- გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა.
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენის, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები.
- ევაკუაციის გეგმა, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმა და ქცევის წესები; ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.
- სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები.
- სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ ინფორმაცია.